

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს რეგისტრირებულია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
2014 წლის 23 იანვარს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
2008 წლის 24 მარტის N78 ბრძანებით



მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“-ს

## წესდება

ცვლილებები და დამატებები მიღებულია  
ამავე პარტიის მორიგი IV ყრილობის მიერ  
2014 წლის 21 სექტემბერს

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“ (შემდგომში „პარტია“) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე (რაც განისაზღვრება წინამდებარე წესდებით) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანება;
- 1.2. პარტია წარმოადგენს საქარო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს და მისი საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეუზღუდავად (რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით შეზღუდვის გარეშე);
- 1.3. პარტია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე, ასევე პარტიის მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად;
- 1.4. პარტიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ., კორპ. 16, ბინა 48.

### მუხლი 2. პარტიის საქმიანობის მიზნები (ამოცანები) და მათი განხორციელების ფორმები

- 2.1. პარტიის მიზნებია (ამოცანებია) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად ხელი შეუწყოს:
  - 2.1.1. საქართველოში დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს, ეკონომიკური თავისუფლებისა და კეთილდღეობის, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის, სოციალური წესრიგის, სამოქალაქო თანხმობის, პოლიტიკური ზნეობისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დამკვიდრებას;
  - 2.1.2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ასევე ეროვნული თვითმყოფადობის დაცვას;
  - 2.1.3. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, კონსტიტუციური ინსტიტუტების, თვითმმართველობის განმტკიცებას;
  - 2.1.4. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენას;
- 2.2. დასახული მიზნების მისაღწევად პარტია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:
  - 2.2.1. ყოველდღიური საქმიანობით ზრუნავს მოქალაქეთა პოლიტიკური გააქტიურებისა და სახელმწიფოს მართვაში, მათი სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;

22. ცდილობს დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების მეშვეობით ხელისუფლების დაპყრობას;

23. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თავისი არმომადგენლობის მეშვეობით მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში და ადგილობრივი ხელისუფლების საკითხთა გადაწყვეტაში;

3. პარტიის საქმიანობის პრინციპებია:

3.1. პარტიაში განვევრიანებისა და პარტიიდან გასვლის ნებაყოფლობითობა;

3.2. დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა;

3.3. არჩევითობა და ანგარიშვალდებულება;

3.4. კონსტიტუციისადმი და კანონმდებლობისადმი მორჩილება;

3.5. საჯაროობა;

24. პარტია ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ პარტიულ პოლიტიკურ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების (ამოცანების) განხორციელებას.

### მუხლი 3. პარტიის წევრობა

3.1. პარტიის წევრი შეიძლება იყოს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც აღიარებს პარტიის წესდებასა და საპროგრამო პრინციპებს და რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

3.2. პარტიის წევრობის მსურველ მოქალაქეს პარტიაში იღებს მხოლოდ პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფი: რეგიონული ან ადგილობრივი ორგანიზაციის ბიურო, ისინი დამოუკიდებლად წყვეტენ პირის პარტიაში მიღების საკითხს;

3.3. პარტიაში ყოველი ახალი წევრის მიღების ფაქტი, ორ კვირაში ეცნობება პარტიის პოლიტიკურ საბჭოს, რომელსაც ეგზავნება ოქმის ამონაწერი და წევრის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ერთი პირი;

3.4. პარტიის წევრად მისაღებად აუცილებელია წევრობის მსურველმა წარმოადგინოს წერილობითი განცხადება, რომელშიც მან უნდა დაადასტუროს, რომ იგი არ არის სხვა პოლიტიკური პარტიის წევრი და რომ არ არსებობს ამ პარტიაში განვევრიანების შემზღუდველი სხვა გარემოება (რომ ის ეთანხმება პარტიის წესდების მოთხოვნებს და პარტიაში მისი განვევრიანება არ დაარღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს). განცხადება დადასტურებული უნდა იყოს პარტიის არანაკლებ 2 (ორი) წევრის სარეკომენდაციო ხელმოწერით. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (განცხადების წარდგენისას მისი მიმღები პირის მიერ უნდა შემოწმდეს ასლის შესაბამისობა დედანთან). განცხადების მიმღები ორგანო ვალდებულია წევრად პირის მიღების საკითხი განიხილოს და გადაწყვიტოს განცხადების რეგისტრაციიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში და დადგენილი წესით საკითხის განხილვის შედეგის თაობაზე აცნობოს განმცხადებელს;

3.5. პარტიის წევრს უფლება აქვს:

3.5.1. წინამდებარე წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიის არჩევით ორგანოსა და არჩევით თანამდებობაზე. წესდებით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს პარტიის საქმიანობაში;

3.5.2. მიმართოს პარტიის ნებისმიერ ორგანოსა და თანამდებობის პირს წინადადებით, განცხადებით ან საჩივრით პარტიის, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის და პარტიული ორგანოს საქმიანობას ან დაკავშირებით და მიიღოს ამომწურავი პასუხი;

3.5.3. გაეცნოს ინფორმაციას და მიიღოს დოკუმენტები პარტიის, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის და პარტიული ორგანოების საქმიანობის შესახებ;

3.5.4. მონაწილეობდეს იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც პირადად მის ინტერესებს შეეხება;

3.5.5. გავიდეს პარტიიდან, რის თაობაზეც მან წერილობით უნდა აცნობოს პარტიის პოლიტიკურ საბჭოს ან შესაბამის ბიუროს (რომლის კომპეტენციასაც შეადგენდა ამ წევრის პარტიაში მიღების საკითხის გადაწყვეტა);

3.5.6. გააპროტესტოს მიღებული დავალება ზემდგომ პარტიულ ორგანოში.

3.6. პარტიის წევრი ვალდებულია:

3.6.1. დაიცვას საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა, პარტიის წესდება და პარტიის მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

3.6.2. შესაძლებლობების ფარგლებში მონაწილეობდეს პარტიის საქმიანობაში;

3.6.3. თავი შეიკავოს პარტიის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო ქმედებებისგან;

3.6.4. გაუფრთხილდეს პარტიის სახელსა და ავტორიტეტს, თავისი ქმედებით არ დაუშვას მისი შელახვა, ხელი შეუწყოს მისი ავტორიტეტის ზრდას;

3.6.5. დაიცვას პარტიის ინტერესები;

3.6.6. იზრუნოს პარტიის შემადგენლობის ზრდასა და განმტკიცებაზე;

3.7. პარტიის წევრი, რომელიც მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში ან დანიშნულია სახელმწიფო თანამდებობაზე, ვალდებულია შეძლებისდაგვარად გააფრცველოს ინფორმაცია თავისი პარტიული კუთვნილებისა და სტატუსის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

3.8. პარტიის წევრს პარტიის პოლიტიკურ საბჭოსთან ან შესაბამისი ბიუროს ხელმძღვანელთან შეუთანხმებლად ეკრძალება პარტიის სახელით მოქმედება;

3.9. წინამდებარე წესდებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მათი სიმძიმის სარისხის შესაბამისად, პარტიის წევრს შეიძლება დაეკისროს შემდეგი სახის პასუხისმგებლობა:

3.9.1. გაფრთხილება;

3.9.2. პარტიიდან გარიცხვა.

3.10. პარტიის წევრს პარტიულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს (მათ შორის მის ზომას განსაზღვრავს) მხოლოდ შესაბამისი პარტიული ორგანიზაციის ბიურო. პარტიის წევრს უფლება აქვს დაესწროს მისი საკითხის განხილვას და დაიცვას თავი, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების მისთვის შეტყობინებიდან ორი კვირის ვადაში გაასაჩივროს გადაწყვეტილება ზემდგომ პარტიულ ორგანოში;

3.11. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის წერილობით დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე პარტიის პოლიტიკური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პირის პარტიიდან გარიცხვის თაობაზე (ან ამტკიცებს უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას);

3.12. პარტია კისრულობს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თავისი წევრის მხოლოდ იმ ქმედებებზე, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ პარტიულ საქმიანობასთან.

#### მუხლი 4. ორგანიზაციული სტრუქტურა

- 4.1. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფები (ტერიტორიული ერთეულები) - პარტიული ორგანიზაციები იქმნება ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და საარჩევნო ოლქებად დაყოფის პრინციპის გათვალისწინებით და არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს;
- 4.2. პარტიული ორგანიზაციებია:
- 4.2.1. პარტიის რეგიონული ორგანიზაცია (ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპის გათვალისწინებით), მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ. თბილისის ორგანიზაციები;
- 4.2.2. პარტიის ადგილობრივი (საქალაქო, რაიონული) ორგანიზაცია, რომელიც იქმნება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპით განსაზღვრული მუნიციპალიტეტების შესაბამისად;
- 4.3. ადგილობრივი (საქალაქო, რაიონული) ორგანიზაცია აერთიანებს სულ ცოტა 20 (ოც) წევრს;
- 4.4. პარტიის სტრუქტურული ერთეულების შიდა ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკური საბჭო და წინამდებარე წესდება;
- 4.5. რეგიონული, ასევე ადგილობრივი (საქალაქო, რაიონული) ორგანიზაციის დაფუძნების ან გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პოლიტიკური საბჭო, რომელიც ამტკიცებს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებას (მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ასევე წარმოადგენს პოლიტიკური საბჭოს კომპეტენციას). გადაწყვეტილება რეგიონული ან ადგილობრივი (საქალაქო ან რაიონული) ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ ძალაში შედის პოლიტიკური საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან;
- 4.6. პარტიის რეგიონული ან ადგილობრივი (საქალაქო ან რაიონული) ორგანიზაციის დაფუძნებისათვის საჭიროა საინიციატივო ჯგუფი არანაკლებ 7 (შვიდი) წევრის შემადგენლობით. დამფუძნებელ კრებას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს პოლიტიკური საბჭოს ერთი წარმომადგენელი მაინც;
- 4.7. პარტიის ადგილობრივი (საქალაქო ან რაიონული) ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა წარმომადგენლობითი კრება (კონფერენცია), რომელიც 2 (ორი) წლის ვადით ირჩევს ორგანიზაციის თავმჯდომარეს და აღმასრულებელ ორგანოს - ბიუროს 7 (შვიდი) წევრის შემადგენლობით (რომელშიც შედის ორგანიზაციის თავმჯდომარე);
- 4.8. პარტიის რეგიონული ორგანიზაციის მართვის უმაღლესი ორგანოა წარმომადგენლობითი კრება (კონფერენცია), რომელიც 2 (ორი) წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს და აღმასრულებელ ორგანოს - ბიუროს 11 (თერთმეტი) წევრის (მათ შორის ორგანიზაციის თავმჯდომარეს) შემადგენლობით;
- 4.9. რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაციების თავმჯდომარეებს კანდიდატურას ასასრულებს პოლიტიკური საბჭო;
- 4.10. პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარე შედის ბიუროს შემადგენლობაში და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას. თავმჯდომარე ხელმძღვანელობს ორგანიზაციის საქმიანობას ბიუროს სხდომებს შორის პერიოდში და ანგარიშვალდებულია მის წინაშე;
- 4.11. ბიუროს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ბიუროს მდივანს, რომელიც ასრულებს ორგანიზაციის თავმჯდომარის მიერ გადაცემულ ცალკეულ უფლებამოსილებებსა და დავალებებს, ხოლო თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ თავისი უფლებამოსილების განსორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, აგრეთვე, მისი დავალებით ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას;

- 4.12. რეგიონული და ადგილობრივი (საქალაქო, რაიონული) ორგანიზაციის თავმჯდომარე პოლიტიკური საბჭოს გადანყვეტილებით შეიძლება გადაყენებული იქნას თანამდებობიდან;
- 4.13. პარტიის რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაცია ვალდებულია საქმიანობა წარმართოს თავისი უფლებამოსილების, მოვალეობისა და პარტიის პოლიტიკური კურსის შესაბამისად. იგი ვალდებულია შეასრულოს ზემდგომი პარტიული ორგანოს ყოველი მართლზომიერი დავალება.

## მუხლი 5. პარტიის ყრილობა

- 5.1. პარტიის ხელმძღვანელი (უმაღლესი წარმომადგენლობითი) ორგანოა პარტიის წევრთა ყრილობა, რომელიც მოიწვევა სულ ცოტა 3 (სამი) წელიწადში ერთხელ;
- 5.2. პარტიის მორიგი ყრილობა იმართება ყოველ შესამე წელს. მას იწვევს და მისი გამართვის თარიღსა და დღის წესრიგს ადგენს პარტიის პოლიტიკური საბჭო. მორიგი ყრილობის მოწვევის გადანყვეტილება და შესაბამისად, მისი გამართვის თარიღი და დღის წესრიგი პარტიის წევრებს ეცნობებათ ყრილობის გამართვამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე, პერსონალურად ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ინფორმაციის გავრცელების გზით. ასეთი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს აგრეთვე, პარტიის ორგანიზაციებში, რათა მათი მხრიდან მოხდეს პარტიის წევრთა შორის ყრილობის მოწვევის შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- 5.3. პარტიის რიგგარეშე ყრილობას იწვევს პოლიტიკური საბჭო:
- 5.3.1. საკუთარი ინიციატივით, როდესაც ამას მოითხოვს პარტიის ინტერესები;
- 5.3.2. პარტიის ორგანიზაციების საერთო რაოდენობის სულ ცოტა 1/5-ის მოთხოვნით;
- 5.3.3. პარტიის წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა 1/5-ის მოთხოვნით.
- 5.4. რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ გადანყვეტილება მიიღება შესაბამისი მოთხოვნიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში და მიღებული გადანყვეტილების შესახებ ეცნობება ინიციატორებს. რიგგარეშე ყრილობა იმართება მისი მოწვევის შესახებ გადანყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 2 (ორი) თვისა და არა უადრეს 40 (ორმოცი) დღისა წამოყენებულ მოთხოვნაში მითითებული დღის წესრიგით. ყრილობა უფლებამოსილია დღის წესრიგში შეიტანოს დამატებითი საკითხები. თუ პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ ამ პარაგრაფით დადგენილ ვადაში არ მიიღო გადანყვეტილება რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ, მისი მოწვევის ინიციატორებს უფლება აქვთ მომდევნო 5 (ხუთი) დღეში თავად მიიღონ აღნიშნული გადანყვეტილება და დანიშნონ ყრილობის გამართვის თარიღი. ინიციატორები ყრილობის მოწვევის შესახებ გადანყვეტილებას აცნობებენ პოლიტიკური საბჭოს, რომელიც ვალდებულია 5 (ხუთი) დღის ვადაში დაადგინოს წარმომადგენლობის კვოტები და დელეგირების წესი, ხოლო ყრილობა უნდა გაიმართოს მოწვევის შესახებ გადანყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 2 (ორი) თვისა და არა უადრეს 40 (ორმოცი) დღისა;
- 5.4.1. იმ შემთხვევაში თუ პოლიტიკურმა საბჭომ 1 (ერთი) კვირის ვადაში მიიღო რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ გადანყვეტილება და აცნობა ინიციატორებს, თუმცა არ გამართა ყრილობა დათქმულ რიცხვში, რიგგარეშე ყრილობის მოწვევის ინიციატორები უფლებამოსილი ხდებიან თავად მოიწვიონ და გამართონ ყრილობა 2 (ორი) კვირის ვადაში.
- 5.5. მორიგი და რიგგარეშე ყრილობისთვის წარმომადგენლობის კვოტებსა და დელეგირების წესს ადგენს პოლიტიკური საბჭო. ყრილობაში მონაწილე დელეგატთა საერთო რაოდენობა არ შეიძლება იყოს 200-ზე ნაკლები;
- 5.6. ყრილობა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება დელეგატთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა 2/3. ყრილობა გადანყვეტილებას იღებს დამსწრე დელეგატთა სმების

უმრავლესობით, მაგრამ რეგისტრირებულ დელეგატთა არანაკლებ 1/3-ით, თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ ყრილობა არ იქნება გადაწყვეტილებათაუნარიანი (დელეგატთა საჭირო რაოდენობის გამოცხადების გამო), მისი მოწვევის ინიციატორი ორგანო იწვევს განმეორებით ყრილობას (რომელიც უნდა გაიმართოს არაუგვიანეს ერთი თვისა არშემდგარი ყრილობის თარიღიდან), რომელიც გადაწყვეტილებათაუნარიანი იქნება ყრილობაზე დელეგატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მესამედის გამოცხადების შემთხვევაში (რა დროსაც გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელ ხმათა რაოდენობა კვლავ ძალაშია);

5.7. ყრილობის სხდომებს თავმჯდომარეობს პარტიის პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით მისი ერთერთი წევრი;

#### 5.8. ყრილობა:

- 5.8.1. ისმენს და აფასებს მის მიერ არჩეული პირების, ორგანოებისა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში არჩეული პარტიული წარმომადგენლობის ანგარიშს;
- 5.8.2. ირჩევს პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრებს და ასევე, სარევიზიო კომისიის წევრებს სამი წლის ვადით;
- 5.8.3. უფლებამოსილია, პოლიტიკური საბჭოს წარდგინებით, დელეგატთა სრული შემადგენლობის სულ ცოტა 2/3-ის გადაწყვეტილებით თანამდებობიდან გადააყენოს პარტიის პოლიტიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრები;
- 5.8.4. იღებს პარტიის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები, იღებს გადაწყვეტილებას პარტიის საქმიანობის შეწყვეტის (რეორგანიზაციის ან თვითღიკვიდაციის) შესახებ;
- 5.8.5. ამტკიცებს პარტიის სტრატეგიასა და საპროგრამო დოკუმენტებს;
- 5.8.6. ირჩევს და ამტკიცებს პარტიისაგან წარსადგენ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს;
- 5.8.7. უფლებამოსილია, მოითხოვოს პარტიული ორგანიზაციის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩეული ან სახელმწიფო აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობაზე დანიშნული/არჩეული პარტიის წევრის ანგარიში და შეაფასოს იგი;
- 5.8.8. უფლებამოსილია, გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც კანონითა და ამ წესდებით მიეკუთვნება პარტიის გამგებლობას; ასევე გადაწყვიტოს პარტიის ნებისმიერი ორგანოს გამგებლობაში მყოფი საკითხი ან გააუქმოს მისი გადაწყვეტილება;
- 5.9. ყრილობის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის, დადგენილების, მიმართვის, განცხადების და სხვა ნებადართული ფორმით;
- 5.10. ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის ყველა ორგანიზაციის, ორგანოს, თანამდებობის პირისა და წევრისათვის;
- 5.11. ყრილობის გადაწყვეტილებას ხელს აწერენ ყრილობის სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

#### მუხლი 6. პოლიტიკური საბჭო

- 6.1. პარტიის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა პოლიტიკური საბჭო (შემოკლებით „პოლიტსაბჭო“), რომელიც წარმართავს პარტიის საქმიანობას ყრილობებს შორის პერიოდში. წინამდებარე წესდების შესაბამისად პოლიტიკური საბჭო პასუხისმგებელია პარტიის წარმატებულ და შედეგიან საქმიანობაზე და წარმომადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- 6.2. პოლიტიკური საბჭოს წევრთა რაოდენობას პოლიტიკური საბჭოს წინადადებით განსაზღვრავს ყრილობა;

6.3. პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ყრილობის მიერ შესაბამისი წესით არჩეული პარტიის სხვა წევრები;

6.4. პოლიტიკური საბჭოს წევრებს 3 (სამი) წლის ვადით ირჩევს ყრილობა. ამასთანავე მისი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის ამოწურვის შემდეგაც პოლიტიკური საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევამდე. პოლიტიკური საბჭოს უფლებამოსილება წყდება ახალი პოლიტიკური საბჭოს არჩევისთანავე;

6.5. პოლიტიკური საბჭოს წევრების კანდიდატურების წარდგენის უფლება აქვთ:

6.5.1. პოლიტიკურ საბჭოს;

6.5.2. ყრილობის დელეგატთა სრული რაოდენობის სულ ცოტა 1/10-ს. მხარდაჭერა დასტურდება ხელმოწერით. ყრილობის დელეგატს უფლება აქვს მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას;

6.6. პარტიის პოლიტიკურ და აღმასრულებელ მდივნებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში დარგობრივ მდივნებს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პოლიტიკური საბჭო თავისი უფლებამოსილების ვადით;

6.7. ამ მუხლის მე-3 პარაგრაფში აღნიშნულ პოლიტიკური საბჭოს წევრს (წევრებს) უფლება აქვს გადადგეს პოლიტიკური საბჭოს წევრობიდან;

6.8. პოლიტიკური საბჭოს წევრები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ პარტიის პოლიტიკური კურსის შესაბამისად;

6.9. პოლიტიკური საბჭოს წევრები ანგარიშვალდებულნი არიან პარტიის ყრილობის და პოლიტიკური საბჭოს წინაშე;

6.10. პოლიტიკური საბჭო:

6.10.1. ყრილობებს შორის პერიოდში უზრუნველყოფს პარტიის საქმიანობის განხორციელებას; შეიმუშავებს პარტიის სტრატეგიას; განსაზღვრავს მიმდინარე პერიოდის ამოცანებს;

6.10.2. აღასრულებს ყრილობის გადაწყვეტილებებს;

6.10.3. ამტკიცებს პარტიისა და მისი ორგანოების სამოქმედო გეგმებს;

6.10.4. ანიჭებს მის ერთ-ერთ წევრს ზოგად წამომადგენლობაზე უფლებამოსილებას წარმოადგინოს პარტია მესამე პირებთან ურთიერთობაში, ხელი მოაწეროს პოლიტიკური საბჭოს დადგენილებას, გამოსცეს აქტები, ბრძანება და განკარგულება, პარტიის სახელით გააკეთოს პოლიტიკური განცხადება ან მიმართვა;

6.10.5. პოლიტიკური საბჭო ამ მუხლის მე-6 პარაგრაფით განსაზღვრულ პირებს ანიჭებს პარტიის სპეციალურ წამომადგენლობით უფლებამოსილებას მათი საქმიანობის სფეროების მიხედვით;

6.10.6. განსაზღვრავს თავისი საქმიანობის წესს;

6.10.7. წყვეტს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში პარტიის მონაწილეობისა და საარჩევნო ბლოკში პარტიის გაერთიანების საკითხებს;

6.10.8. იღებს გადაწყვეტილებას პარტიის რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაციის დაფუძნებისა და გაუქმების თაობაზე, ამტკიცებს მათ დებულებას.

6.10.9. უფლებამოსილია მოითხოვოს პარტიის წევრების, ორგანიზაციებისა და ორგანოების ანგარიში განეული მუშაობის შესახებ და შეფასება მისცეს მათ საქმიანობას;

6.10.10. უფლებამოსილია გამართოს საერთო პარტიული ან რეგიონული თემატური კონფერენციები, პოლიტიკური საბჭოს გასვლითი სხდომები, მოიწვიოს რეგიონული ან

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მართვის ორგანოთა სხდომები, აგრეთვე, მათი კონფერენციები;

6.10.11. საჭიროების შემთხვევაში ქმნის მრჩეველთა საბჭოს, შესაბამის კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს პარტიის წინაშე მდგარი საკითხების გადასაწყვეტად, ადგენს მათი საქმიანობის წესს;

6.10.12. განსაზღვრავს საწევროს ოდენობას, მისი გადახდის პერიოდულობასა და წესს;

6.10.13. იღებს დადგენილებებს;

6.10.14. ასრულებს წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

6.11. პოლიტიკური საბჭოს სხდომები, როგორც წესი, იმართება თავში ერთხელ მაინც, ხოლო რიგგარეშედ - პოლიტიკური საბჭოს ერთ-ერთი წევრის მოთხოვნით; სხდომათა კონკრეტულ განრიგს ადგენს პოლიტიკური საბჭო;

6.12. პოლიტიკური საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით მისი ერთ-ერთი წევრი;

6.13. პოლიტიკური საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ სხდომას ესწრება მისი სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3-ისა;

## მუხლი 7. პარტიის სარევიზიო კომისია

7.1. პარტიის სარევიზიო კომისიას 3 (სამი) წლის ვადით 3 (სამი) წევრის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა;

7.2. პარტიის სარევიზიო კომისიას ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები;

7.3. სარევიზიო კომისიის შექმნის წესი განისაზღვრება წინამდებარე წესდებითა და კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო;

7.4. პარტიის სარევიზიო კომისია ამოწმებს პარტიის წევრების, პარტიული ორგანიზაციებისა და ორგანოების მიერ პარტიის წესდების დაცვას და პარტიის საფინანსო საქმიანობას, უშუალოდ ან მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით ატარებს პარტიის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიას, იხილავს პარტიის წევრთა საჩივრებს. კომისია თავის დასკვნებს წარუდგენს ყრილობას და პოლიტიკურ საბჭოს;

7.5. პარტიის სარევიზიო კომისია შემოწმების შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს და შესაბამის პარტიულ ორგანოს წარუდგენს წინადადებებს პარტიის ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესებისა და საკადრო ცვლილებების შესახებ;

7.6. პარტიის სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის წევრთა აბსოლიტური უმრავლესობა;

7.7. პარტიის სარევიზიო კომისია ვალდებულია თავისი დასკვნა გააცნოს პოლიტიკურ საბჭოს და იმ ორგანოს ან წევრს, რომელსაც იგი ეხება;

7.8. პარტიის სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პარტიის სხვა ხელმძღვანელი ორგანოს წევრი, გარდა ყრილობის დელეგატისა;

7.9. პარტიის სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია მხოლოდ პარტიის ყრილობის წინაშე. ყოველი მორიგი ყრილობის დღის წესრიგში აუცილებელი საკითხი უნდა იყოს სარევიზიო კომისიის ანგარიში;



7.10. პარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია დაესწროს პარტიის ნებისმიერი ორგანოს სხდომას და გამოთქვას მოსაზრებები ამ მუხლის მე-4 პარაგრაფით განსაზღვრული საკითხების თაობაზე;

7.11. პარტიის სარევიზიო კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან დაესწრონ ყრილობას, ადგილობრივი (საქალაქო, რაიონული) პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ორგანოების სხდომებს და გამოთქვან მოსაზრებები ამ მუხლის მე-4 პარაგრაფით განსაზღვრული საკითხების თაობაზე.

## მუხლი 8. პარტიის ქონება

8.1. პარტიის ქონების ფორმირების წყაროებია:

8.1.1. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულობანი;

8.1.2. სანვერო შენატანები (რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს პოლიტიკური საბჭო);

8.1.3. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობით (მათ შორის პარტიის სიმბოლიკის გავრცელებით, პარტიის მიერ ლექციების, სემინარების და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით, პარტიის მიზნების შესაბამისი საგამომცემლო და სხვა სახის საქმიანობით, რაც არ ცვლის პარტიის, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს და არ აღემატება მინიმალური საბაზო დაფინანსების ორმაგ ოდენობას) მიღებული შემოსავალი;

8.1.4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები;

8.1.5. საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულობები.

8.2. პარტიის საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს უძრავ-მოძრავი ქონება, მატერიალური და არამატერიალური აქტივები, გამომცემლობა, სტამბა, ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება, რომელიც საჭიროა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად;

8.3. პარტიის სახსრებით იფარება მხოლოდ ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია პარტიის საქმიანობასთან;

8.4. პარტიას უფლება არა აქვს ეწეოდეს სხვა დამხმარე სამეწარმეო საქმიანობას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;

8.5. პარტიის ქონების ფორმირება და მისი განკარგვა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს;

8.6. პარტიის ქონების განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მხოლოდ პარტიის მიზნებისთვის.

## მუხლის 9. პარტიის საქმიანობის შეწყვეტა (რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის წესი)

9.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პარტიის საქმიანობის შეწყვეტა ხდება რეორგანიზაციის საფუველზე პარტიის გაყოფის სხვა პარტიებთან შერწყმის, პარტიასთან/პარტიებთან შეერთების შემთხვევებში;

9.2. გადანყვეტილებას პარტიის რეორგანიზაციის შესახებ იღებს მხოლოდ პარტიის ყრილობა, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ასეთი გადანყვეტილება, თუ სხდომას ესწრება დელეგატთა

საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3-ისა, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა 2/3-ზე მეტი;

9.3. პარტია უფლებამოსილია მოახდინოს თვითლიკვიდაცია ამ წესდებით დადგენილი საფუძვლით (ყრილობის გადაწყვეტილებით). თვითლიკვიდაციის გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ პარტიის ყრილობა. გადაწყვეტილების მიღება ხდება ამ მუხლის მე-2 პარაგრაფში აღწერილი წესით;

9.4. პარტიის საქმიანობის შეწყვეტა იწვევს მისი ყველა ორგანიზაციისა და ორგანოს საქმიანობის შეწყვეტას;

9.5. სხვა პარტიასთან შერწყმის შემთხვევაში პარტიის ქონება გადაეცემა შესაბამის პარტიას. სხვა პარტიასთან/პარტიებთან შეერთების შემთხვევაში პარტიის ქონება შეუერთდება ამ პარტიის/პარტიების ქონებას. პარტიის გაყოფის შემთხვევაში ქონების განაწილების საკითხსა და წესს განსაზღვრავს პარტიის ყრილობა;

9.6. პარტიის თვითლიკვიდაციის შემთხვევაში ყრილობა ქმნის სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც ახორციელებს სალიკვიდაციო პროცესს. დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას.

## მუხლი 10. წესდების შეცვლა

10.1. მხოლოდ პარტიის ყრილობაა უფლებამოსილი მიიღოს პარტიის წესდება და შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;

10.2. პარტიის წესდება, აგრეთვე მასში შესატანი ცვლილებები და დამატებები მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ყრილობის დამსწრე დელეგატთა უმრავლესობით, მაგრამ რეგისტრირებულ დელეგატთა არანაკლებ 1/3;

10.3. პარტიის წესდებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის მხოლოდ კანონით დადგენილი წესით მათი რეგისტრაციის შემდეგ.

## მუხლი 11. პარტიის ემბლემა

11.1. პარტიის ემბლემა არის ლურჯ ფონზე შესრულებული ოქროსფერი წრე, მასში ჩახატული ამავე ფერის ბოლნური ჯვრის გამოსახულებით, წრის ქვევით წარწერით - „ეროვნული ფორუმი“.

## მუხლი 12. პარტიის სიმბოლიკა

12.1. პარტიას აქვს ბეჭედი, შტამპი, ბლანკი და დროშა;

12.2. პარტიის ბეჭედი არის მრგვალი ფორმის, რომლის გარეთა წრეში მითითებულია პარტიის სასტამბო ღირებულება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“ ქართული და ინგლისური ენებზე, ხოლო შიდა პატარა წრეში გამოსახულია პარტიის ემბლემა;

12.3. პარტიის დროშა არის ლურჯი ყვრის მატერია, რომლის შუაში განთავსებულია პარტიის ემბლემა;

12.4. პარტიის შტამპის რეკვიზიტებია: პარტიის სახელწოდება, ნომერი და თარიღი;

12.5. პარტიის ბლანკის ფურცელზე, ზედა მხარეს გამოსახულია პარტიის ემბლემა და მის ქვემოთ პარტიის სახელწოდება (ორგანიზაციული ფორმის მითითებით), პარტიის რეგისტრაციის მონაცემები და მარეგისტრირებელი ადრესი, პარტიის მისამართი და სხვა საკონტაქტო მონაცემები.